

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
სსიპ საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს

შპს „სგ გრუპ”-ს
(ს/კ 437067629)

სკრინინგის განცხადება

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 30 მაისის N 21/4117 ხარვეზის წერილის შესაბამისად წარმოგიდგენთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ნატანებში განთავსებულ (საკადასტრო კოდი: 26.01.84.067) შპს „სგ გრუპ”-ს (ს/კ 4437067629) ქვიშა-ხრეშის სამსხვრევი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს.

იმის გათვალისწინებით, რომ შპს „სგ გრუპ” მიერ განხორციელებული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოს დაცვითი შეფასების კოდექსის”-ს II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოს დაცვითი შეფასების კოდექსის”-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას და იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას. გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით, გარემოს დაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა საწარმოს სკრინინგის ანგარიში.

გთხოვთ, განიხილოთ აღნიშნული განცხადება და მიიღოთ გადაწყვეტილება საწარმოს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

შპს „სგ გრუპ”-ს
(ს/კ 4437067629)

დირექტორი: გიგა მახარაძე



10.06.2023 წელი



სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. ალაზანებელის ბაზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/4117
30/05/2023

4117-21-2-202305301745



შპს „სგ გრუპს“

მის: ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატანები

ელ. ფოსტა: Ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3933 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვემო ნატანებში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოდან დაშორებულია 350 მეტრით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან დაახლოებით 100 მეტრში ფიქსირდება შენობა-ნაგებობა (ს/კ: 26.0184.218). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული შენობა-ნაგებობის ფუნქციური დანიშნულება და უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე მანძილი;
- სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმო დანიშნულებით წყალაღება დაგეგმილია საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 20 მეტრში მდებარე ბუნებრივი ტბორიდან, თუმცა, დოკუმენტში აღნიშნული ტბორის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის;
- დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის მიხედვით (გვ. 9), საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 535.5 მ² მოცულობის მქონე სალექარის მოწყობა, ხოლო მე-12-ე გვერდზე მითითებულია, რომ აღნიშნული სალექარის მოცულობა იქნება 240 მ². შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს სალექარის პარამეტრები;
- დოკუმენტში მოცემული არ არის ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ხარისხობრივი მაჩვენებლები უახლოეს მოსახლესთან მიმართებაში;
- დოკუმენტში ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების თავში განხილული, გ-4, გ-5 და გ-6 გაფრქვევის წყაროების ანგარიში არასწორია და საჭიროებს კორექტირებას;

- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო საწარმოდან დაახლოებით 45 მეტრში ფიქსირდება შპს „მოზაიკას“ ბეტონის საწარმო, თუმცა დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის აღნიშნული საწარმოების ერთობლივი ფუნქციონირების შედეგად გარემოზე მოსალოდნელი კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, როგორც ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე, ისე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების კუთხით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო



შპს „სგ გრუპ“

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ნატანები

(ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმო

სკრინინგის ანგარიში

შესავალი

2

1. ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ	4
1.1 საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა	4
1.2 საკანონმდებლო საფუძველი.....	8
2. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა.....	10
3. წყლის გამოყენება და ჩამდინარე წყლები	15
4 საკანალოზაციო წყლების მართვა.....	16
5. წარჩენების წარმოქმნა და მისი გაწვარევა	17
6. გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში	18
6.1 ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე	18
6.2 ხასურით გამოწვეული ზემოქმედება	35
6.3 ზემოქმედება წარდაგის და გრუნტის წარისხზე.....	35
6.4 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე.....	36
6.5 ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის მეგლებზე.....	37
6.6 სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება და ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.....	38
6.7 ზემოქმედება ჭარბტერიან ტერიტორიებზე.....	39
6.8 ტრანსსასზღვო ზემოქმედება.....	39
6.9 მისასვლელი გზები.....	39
6.10 წარჩენების წარმოქმნით და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება.....	40
6.11 ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე	41
6.12 კუმულაციური ზემოქმედება	41

დანართები

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს, შპს „სგ გრუპ“-ს (ს/კ437067629) მიერ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი ნატანების ტერიტორიაზე, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავების საწარმოს ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიშს.

საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის შპს „სგ გრუპ“-ის მიერ დაგეგმილი საქმიანობა გულისხმობს სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებას, კერძოდ ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციას.

პროექტის მიხედვით სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს წარმადობა საათში შეადგენს 30მ³ -ს, მსხვრევის პროცესის ხანგრძლივობა დღე-ღამეში შეადგენს 8 სთ-ს, სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში არის 240დღე. სამუშაო საათების რაოდენობა 1920 სთ წელიწადში. ამ პარამეტრების გათვალისწინებით საწარმო წელიწადში განახორციელებს 57 600მ³/წელ (92 160 ტ) ქვიშა-ხრეშის დამსხვრევას და ორი ფრაქციის (05-10მმ, 10-20 მმ) ღორღის და ქვიშის ფრაქციის მიღება.

ინერტული მასალების მსხვრევა-დახარისხება ხორციელდება სველი მეთოდით.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის თანახმად სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება ამავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურის გავლას, გზშ-ს ჩატარების საჭიროების მიზნით.

საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია საქმიანობის დაგეგმვის შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სამინისტროს წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება და სამინისტროსგან მიიღოს გადაწყვეტილება ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს.

საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილი სკრინინგის განცხადება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა უნდა მოიცავდეს: მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ.

სკრინინგის პროცედურის დასრულების შემდეგ თუ, სამინისტრო დაადგენს, რომ დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება გზშ-ს, განმცხადებელი ვალდებულია დაიცვას საქართველოში არსებული გარეოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები და გარემოსდაცვითი ნორმები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შემუშავებული იქნა შპს „სგ გრუპი“-ის ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ-დამხარისხებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში.

1. ძირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლისა და დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ
ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში N1

ცხრილი N1

მირითადი ინფორმაცია საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „სგ გრუპ“
საიდენტიფიკაციო კოდი	(ს/კ 437067629)
კომპანიის იურიდიული მისამართი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ნატანები
საქმიანობის განხორციელების ადგილის ფაქტიური მისამართი, საკადასტრო კოდი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ნატანები (საკადასტრო კოდი: 26.01.84.067)
საქმიანობის სახე	სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამუშავება
დირექტორი	გიგა მახარაძე (პ/ნ 33001007374)
საკონტაქტო ტელეფონი	555- 17-44-84
ელექტრონული ფოსტა	Ltd.elshouse@gmail.com
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელსპაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	591 97-50-90
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ქვემო ნატანები
განთავსების ადგილის კოორდინატი	X -236675, Y- 4647289
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	350 მ
საპროექტო წარმადობა	
გამოშვებული პროდუქციის სახეობა	სხვა და სხვა ფრაქციის ღორლი და ქვიშა
საპროექტო წარმადობა	30მ³/სთ;
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	57 600მ³/წელ ქვიშა-ხრეში (92 160 ტ)
მეთოდი	სველი
საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენების გარდა)	----
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	240 დღე
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე- ღამეში, სთ	8 სთ/დღ

საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2

წერტ.N	წერილის GPS კოორდინატები	
	X	Y
1	236652.5	4647334
2	236699.9	4647335
3	236701.1	4647279
4	236654.6	4647277

2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა და საწარმოს საქმიანობის ზოგადი აღწერა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნატანებში, კომპანია „სგ გრუპ“-ს (ს/კ 437067629) მოწყობილი აქვს ქვიშა-ხრეშის გადამუშავებელი საწარმო. საწარმოში ხორციელდება მდინარის ბალასტის გადამუშავება და მისგან ქვიშისა და ღორღის ორი ფრაქციის მიღება.

ქვიშა-ხრეშის სამსხვრევ დამახარისხებელი საწარმო განთავსებულია შპს „მოზაიკა“-ს (ს/კ 430025778) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 26.01.84.067) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნატანებში. ტერიტორიის ფართობია 2633 კვ.მ. საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატია: (X-236675, Y-4647289).

საპროექტო ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება სახელმწიფო და კერძო საკუთრებაში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთები, აღმოსავლეთით მდებარეობს უახლოესი საცხოვრებელი სახლი, რომლის დაცილების მანძილი შეადგენს 350 მ-ს (საკადასტრო კოდი: 26.01.84.258). საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან დაახლოებით 100 მ -ში (საკ. კოდ: 26.01.84.218) არსებული ტერიტორია არის სანერგე/პლანტაცია და შენობა-ნაგებობის ფუნციური დანიშნულებაა სასაწყობე ფართი. სამხრეთ -აღმოსავლეთით ემიჯნება შპს „მოზაიკა“-ს (ს/კ 430025778) ბეტონის საწარმო (საკ. კოდი : 26.01.84.413)

პროექტის მიხედვით სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს წარმადობა საათში შეადგენს 30მ^3 -ს, მსხვრევის პროცესის ხანგრძლივობა დღე-ღამეში შეადგენს 8 სთ-ს, სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში არის 240დღე. სამუშაო საათების რაოდენობა 1920სთ წელიწადში. ამ პარამეტრების გათვალისწინებით საწარმო წელიწადში განახორციელებს $57\ 600\text{მ}^3/\text{წელ}$ ($92\ 160\ \text{ტ}$) ქვიშა-ხრეშის დამსხვრევას და ორი ფრაქციის

(5-10მმ და 10-20 მმ) ღორლის და ქვიშის მიღებას. საწარმოში ინერტული მასალების გადამუშავება მოხდება სველი მეთოდით.

საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 4 კაცი, რომლებიც იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით, 8 სთ-იანი სამუშაო დღით.

ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია სხვა ინფრასტრუქტურა:

- დასამუშავებელი ინერტული მასალების სანაყარ;
- მზა პროდუქციის ღია სანაყაროები
- საყოფაცხოვრებო სათავსები
- საპირფარეშო
- დამხმარე სასაწყობო ბლოკ-კონტეინერი ინვენტარისთვის.

3. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესის აღწერა და ინფრასტრუქტურის ელემენტები ქვიშა-ხრეშის მსხვრევა-დახარისხების ტექნოლოგიური სქემა ითვალისწინებს შემდეგ ოპერაციებს:

- ნედლეულის დასაწყობება;
- მიმღებ ბუნკერში ჩაყრა;
- ნედლეულის მიწოდება სამსხვრეველებში;
- პროდუქციის დასაწყობება

საწარმოში ნედლეულის დამუშავებისათვის მოწყობილია შემდეგი დანადგარ-მოწყობილობა:

- ნედლეულის მიმღები ბუნკერი კონვეიერით (1 ც.) - სიგრძე 3.6 მ. ელ. ძრავის სიმძლავრე 6 კვტ.
- ვიზრაციული ცხრილი ГИЛ -42 (1 ც.) – ВХЛ 1500X4500, n-1000 ბრ/წთ. ელ ძრავის სიმძლავრე 11 კვ/სთ;
- ყბებიანი სამსხვრეველა DMD-166A (1 ც.) – 108 მმ-იანი, ელ. ძრავის სიმძლავრე 38 კვ/სთ;
- როტორი (2 ც.) - ელ ძრავის სიმძლავრე 38 კვ/სთ;
- სპირალური კლასიფიკატორი KCH 1,2 (2 ც.) - დიამეტრი 1200 მმ. აბაზანის სიგრძე 8400 მმ. ელ ძრავის სიმძლავრე 6.5 კვ/სთ;
- ლენტური კონვეიერი (6 ც.) - სიგრძე 8 მ; სიგანე 0.75 მ; ელ ძრავის სიმძლავრე 6 კვ/სთ.

ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია სხვა ინფრასტრუქტურა:

- დასამუშავებელი ინერტული მასალების სანაყარო;
- მზა პროდუქციის ღია სანაყაროები ;

- საყოფაცხოვრებო სათავსები;
- საპირფარეშო
- დამხმარე სასაწყობო ბლოკ-კონტეინერი ინვენტარისთვის.

საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი განხორციელდება სველი მეთოდით.

საწარმოს ფუნქციონირებისათვის საჭირო ტექნოლოგიური და დამხმარე ინფრასტურებურის ელემენტები მოიცავს ქვის მსხვრევისა და დახარისხებისათვის გამოყენებულ შემდეგ დანადგარებს: ყბებიანი და როტორული მსხვრევანა, ლენტური ტრანსპორტიორი, კლასიფიკატორი, ვიბროსაცერი, დამახარისხებელი მზრუნავი ცხავი, ნედლეულისა და პროდუქციის ღია საწყობები. (იხ. დანართი, სიტუაციური ნახაზი)

ტექნოლოგიური სქემის შესაბამისად კარიერიდან საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის ტრანსპორტირება ხდება თვითმცლელი ავტომანქანებით და ხელოვნურად აგებული ბაქნიდან (პანდუსი) იყრება მიმღებ ბუნკერში.

როგორც აღინიშნა, ნედლეულის დამუშავება ხდება სველი მეთოდით. წყალი მიეწოდება როტორულ სამტვრეველასა და კლასიფიკატორებს.

სატვირთო ავტომანქანებით ქვიშა-ხრეშის შემოზიდვით, რომელიც საწყობდება სამსხვრევის საამქროს ჩასატვირთი ბუნკერის მიმდებარე ტერიტორიაზე საიდანაც შემდეგ ბულდოზერის საშუალებით ხვდება ჩატვირთვა ბუნკერში. შემდეგ ინერტული მასალა ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ყბებიან სამსხვრევს და ხდება მისი უხეშად დამსხვრევა. ყბებიანი სამსხვრევიდან დამსხვრეული მასა მიეწოდება საცრელ-დამხარისხებელ დანადგარს (კლასიფიკატორს), აქ ნედლეული წყლით ირეცხება და ხარისხდება, 5 მმ-მდე დიამეტრის ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორით მიემართება სპირალური სარეცხი დანადგარისკენ, საიდანაც მიღებული ქვიშა ხვდება ღია სასაწყობო მოედანზე. 5-35 მმ დიამეტრის ფრაქცია მიეწოდება სპეციალურ გამანაწილებელ ბუნკერს, ხოლო 35 მმ-ზე მეტი დიამეტრის ფრაქცია მიეწოდება როტორულ სამსხვრევს, სადაც ხდება მისი წვრილ ფრაქციად დამსხვრევა და მეორე საცრელ-დამხარისხებელ დანადგარში გადატანა. მეორე საცრელ-დამხარისხებელ დანადგარიდან 0-5 მმ, 5-10 მმ, 10-20 მმ დიამეტრის პროდუქცია ხვდება ღია სასაწყობო მოედნებზე, ხოლო უფრო

მსხვილი ფრაქციის ღორღი 20-40 მმ და 40 მმ მეტი დიამეტრის ღორღი გადაიტანება სპეციალურ გამანაწილებელ ბუნკერში და მეორე როტორულ სამსხვრევში. ინერტული მასალა სამსხვრევებსა და კლასიფიკატორებს შორის გადაიზიდება ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით.

ცენტრალური გზიდან საპროექტო ტერიტორიამდე მოწყობილია მისასვლელი გრუნტის 330მ სიგრძის გზა. საპროექტო ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ხაზი განთავსებულია მიწის ნაკვეთის სამხრეთ ნაწილში.

საწარმოს ტერიტორიაზე იმოქმედებს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ერთი ხაზი. ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი განხორციელდება სველი მეთოდით.

პროექტის მიხედვით სამსხვრევ-დამახარისხებელი საწარმოს წარმადობა საათში შეადგენს 30მ^3 -ს, მსხვრევის პროცესის ხანგრძლივობა დღე-ღამეში შეადგენს 8 სთ-ს, სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში არის 240დღე. სამუშაო საათების რაოდენობა 1920სთ წელიწადში. ამ პარამეტრების გათვალისწინებით საწარმო წელიწადში განახორციელებს $57\ 600\text{მ}^3/\text{წელ}$ ($92\ 160\ \text{ტ}$) ქვიშა-ხრეშის დამსხვრევას და ორი ფრაქციის (5-10მმ და 10-20 მმ) ღორღის და ქვიშის მიღებას.

საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 4 კაცი, რომლებიც იმუშავებენ ერთცვლიანი რეჟიმით, 8 სთ-იანი სამუშაო დღით.

მიღებული ფრაქცია (5-10მმ და 10-20 მმ) ზომის ღორღი და ქვიშა იყრება ღია საწყობებზე. ნედლეულის და პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის საწარმო გამოიყენებს არსებულ საავტომობილო და საწარმომდე მისასვლელ გრუნტის გზას, რომლის მდგომარეობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს კომპანია.

თვით საწარმოს არ გააჩნია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე ლიზენზია, ის ნედლეულის შესყიდვას და საწარმოში გადასამუშავებლად შეტანას მოახდენს სხვადასხვა კომპანიებიდან (ლიცენზირებული კარიერებიდან).

საწარმოდან პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. ნედლეულის ტრანსპორტირებისათვის გამოიყენებული იქნება ცენტრალურ

ავტომაგისტრალი და საწარმომდე მისასვლელი გრუნტის გზა. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გრუნტის გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე.

საწარმოს საპორექტო წარმადობა საათში არის 30მ³-ს, რაც საშუალოდ შეადგენს 10-15 გადაზიდვას დღეში. საწარმომდე მისასვლელი გზების კატეგორიების შესაბამისად გადაზიდვის აღნიშნული ინტენსივობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადზე. ასევე, პროდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით. საჭიროების შემთხვევაში მოხდება გზების მორწყვა.

საწარმო მუშაობს სველი მეთოდით, რისთვისაც წყალაღება მოხდება საწარმოს მიმდებარედ არსებული ბუნებრივი ტბორიდან (კოორდინატ: X-236651, Y-4647356). აღნიშნულ წერტილში დამონტაჟებულია წყლის ტუმბო სიმძლავრით 12 მ3/სთ და 150 მეტრი სიგრძისა და 110 მმ დიამეტრის პლასტმასის მილით მიეწოდება საწარმოს სამსხვრევ დანადგარებს. ტბორი არის ბუნებრივი წარმოშობის და მისი სხვა დანიშნულებით გამოყენება არ ხდება. ტბორი იკვებება თოვლის წვიმისა და გრუნტის წყლებით.

ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით 1 მ³ ნედლეულის დამუშავებისთვის საჭიროა 1.5 მ³ წყალი, საწარმო იმუშავებს 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით 240 დღე, შესაბამისად 1 საათში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება 45 მ³/სთ, დღეში - 360 მ³, ხოლო წელიწადში 86 400 მ³. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წყლის გაწმენდა მოხდება სალექარის საშუალებით და გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება ზედაპირული წყლის ობიექტში - უსახელო ღელეში, ჩაშვების წერტილის კოორდინატია: X-236593, Y-4647330.

დანადგარში გამოყენებული წყალი მოხვდება სალექარში, რომელთა პარამეტრები 9,60მx10მx2,50მ, ანუ მისი მოცულობა ტოლი იქნება 240 მ3. საწარმოში გამოყენებული წყალი გაწმენდის შემდეგ ჩაშვებული იქნება საწარმოს ჩრდილო- დასავლეთი მხრიდან გამავალ უსახელო ღელეში. გამოყენებული წყალი გაწმენდის შემდეგ სრულიად დაკმაყოფილებს პირობებს „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცებისთაობაზე“, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის დადგენილებით.

4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება

საწარმოში ნედლეულის შემოტანა და პროდუქციის გატანა განხორციელდება ავტოტრანსპორტით. საწარმოს ტერიტორიაზე მისასვლელი გზა არ გადის დასახლებულ პუნქტზე. საწარმო ცენტრალურ ავტომაგისტრალს უკავშირდება 330მ სიგრძის გრუნტის გზით.

საწარმოს საპორექტო წარმადობა საათში შეადგენს 30მ³-ს რაც საშუალოდ შეადგენს 15-20 გადაზიდვას დღეში. საწარმომდე მისასვლელი გზების კატეგორიების შესაბამისად გადაზიდვის აღნიშნული ინტენსივობა მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს სატრანსპორტო ნაკადზე. ასევე, პორდუქციის ტრანსპორტირება განხორციელდება საფარველით აღჭურვილი ავტოტრანსპორტით.

საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრეშის შემოზიდვა განხორციელდება სხვადასხვა ლიცენზირებული კარიერიდან, ნედლეულის საწარმოში შემოტანა/ტრანსპორტირება მოხდება უკვე არსებული საავტომობილო გზების მეშვეობით. აღნიშნული გზა არ კვეთს დასახლებულ პუნქტს.

5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

საპროექტო საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ესაჭიროება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური წყლით მომარაგება, შესაბამისად ადგილი აქვს როგორც საწარმოო, ასევე სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების წარმოქმნას.

საყოფაცხოვრებო დანიშნულების წყალი შემოიტანება გადასატანი რეზერვუარების საშუალებით, როგორც დასახლებული პუნქტის წყალსადენიდან, ასევე საცალო ვაჭრობის ქსელიდან. ტექნოლოგიაში წყალი გამოიყენება, მსხვრევის პროცესში.

საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 4 კაცი, რომლებიც იმუშავებენ დღეში ერთცვლიანი 8სთ-იანი რეჟიმით. სასმელ-სამეურენო დანიშნულებით მოხმარებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებული პერსონალის და ერთ მომუშავეზე დახარჯული წყლის რაოდენობაზე. ერთ სულზე წყლის მაქსიმალური ხარჯი დღის განმავლობაში შეადგენს 45 ლ-ს. წელიწადში 240 სამუშაო დღის და ერთცვლიანი სამუშაო გრაფიკის გათვალისწინებით სასმელ-სამეურენო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის საანგარიშო ხარჯი იქნება:

$$4 \times 45 = 180 \text{ლ}/\text{დღეში}, \text{ანუ } 0,18 \text{ მ}^3/\text{დღეში},$$

$$0,18 \text{ მ}^3 \times 240 \text{ დღე} = 10,41 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია სასმელ-სამეურნეო და საწარმოო წლების წარმოქმნა. ვინაიდან საპროექტო ტერიტორიაზე არ არის საკანალიზაციო ქსელი, ამიტომ კომპანიის საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების შეკრება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომლის მომსახურებაც მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე.

საწარმოს ოპერირებისას მოსალოდნელია სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების წარმოქმნა. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ჩამდინარე წყლების ხარჯი არ აღემატება დღე-ღამეში კუბ.მ-ს დასაშვებია ამოსანიჩბი ორმოს მოწყობა. რომელიც პერიოდულად გაიწმინდება საასენიზაციო ავტომანქანით ხელშეკრულების საფუძველზე.


როგორც აღინიშნა, საწარმო მუშაობს სველი მეთოდით, რისთვისაც წყალაღება მოხდება საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი ტბორიდან (კოორდინატ: X-236651, Y-4647356). აღნიშნულ წერტილში დამონტაჟებულია წყლის ტუმბო სიმძლავრით 12 მ3/სთ და 150 მეტრი სიგრძისა და 110 მმ დიამეტრის პლასტმასის მილით მიეწოდება საწარმოს სამსხვრევ დანადგარებს.

ტექნოლოგიური ციკლის მიხედვით 1 მ³ ნედლეულის დამუშავებისთვის საჭიროა 1.5 მ³ წყალი, საწარმო იმუშავებს 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით 240 დღე, შესაბამისად 1 საათში საჭირო წყლის რაოდენობა იქნება 45 მ³/სთ, დღეში 360 მ³, ხოლო წელიწადში 86400 მ³. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი წყლის გაწმენდა მოხდება სალექარის საშუალებით და გაწმენდილი წყალი ჩაშვებული იქნება ზედაპირული წყლის ობიექტში - უსახელო ღელეში, ჩაშვების წერტილის კოორდინატია: X-236593, Y-4647330.

სალექარიდან გამოსული გაწმენდილი ჩამდინარე წყალის ჩადინება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილი გრუნტის ღია არხით, რომლის სიგრძე 100მ-ია, სიგანე 2,5 მ.

ჩამდინარე წყლები დაბინძურებული იქნება შეწონილი ნაწილაკებით, რომლის გაწმენდისათვის დაგეგმილია 240 მ^3 ტევადობის სალექარის მოწყობა. სალექარის (საორიენტაციო სქემა მოცემულია ნახაზზე 1)

ნახაზი 1. სალექარის გეგმა და ჭრილი



სანიაღვრე ჩამდინარე წყლების წარმოქმნა ხდება ატმოსფერული ნალექების დროს.

საწარმოს ტერიტორიაზე ატმოსფერული ნალექების შედეგად წარმოქმნილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა დამოკიდებულია ატმოსფერული ნალექების რაოდენობაზე და ტერიტორიის ზედაპირის მახასიათებელ პარამეტრებზე. არსებული მეთოდოლოგიით სანიაღვრე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით:

$$Q=10xFxHxK \text{ } \text{m}^3/\text{წელ}$$

სადაც,

Q - სანიაღვრე წყლების მოცულობა m^3 /დღე

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია 0,263 ჰა

H - ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა (ოზურგეთის რაიონში

ნალექების წლიური მაქსიმალური რაოდენობა 2500 მმ წელიწადში, საათური მაქსიმუმი 25მმ)

K - კოეფიციენტი რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, რაც მოცემულ შემთხვევაში ხრეშის საფარისთის აღებულია 0,04.

გათვლების შედეგები შემდგენაირია:

$$Q_{წელ}=10x0,26x2500x0,04=260 \text{ } \text{m}^3/\text{წელ}$$

$$Q_{სთ}=10x0,26x25x0,04=0,26 \text{ } \text{m}^3/\text{სთ}$$

საწარმოო ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ჩადინება მოხდება საწარმოს ტერიტორიაზე მოწყობილ სალექარში.

6. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბიძნულების წყაროს წარმოადგენს ქვიშა-ხრეში სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარები.

ქვიშა-ხრეშის მსხვრევის პროცესი იწარმოებს სველი მეთოდით. ამის გამო უმნიშვნელოა მტვრის წარმოქმნა, როგორც სამუშაო ადგილზე ასევე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა.

ქვის მსხვრევისა და დახარისხების პროცესში ატმოსფეროში გამოიყოფა არაორგანული მტვერი.

მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროდ შეიძლება ჩაითვალოს ყველა ტექნოლოგიური პროცესი და დანადგარი. სამშენებლო მასალების წარმოებისას არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროებიდან გაფრქვევის გაანგარიშების ნეთოდური მითითებების შესაბამისად 3%-ზე მეტი ტენიანობის მქონე ქვიშისა და 20%-ზე მეტი ტენიანობის მასალების სხვა შემთხვევაში გაფრქვევები უნდა ჩაითვალოს 0-ს ტოლად. ამის გათვალისწინებით გაფრქვევის გაანგარიშება არ მოხდება ვიბროცხავისა და კლასიფიკატორის მუშაობისას და ქვიშის ბაქანზე განთავსებისას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მტვრის გამოყოფის და გაფრქვევის წყაროებს წარმოადგენს:

- ნედლეუილის განთავსება ღია საწყობზე
- გაფრქვევა ნედლეულის ღია საწყობიდან
- ნედლეულის ჩაყრა მკვებავ ბუნკერში
- მკვებავიდან ტრანსპორტიორზე ჩამოტვირთვა
- ყბებიანი მსხვრევანა
- როტორული მსხვრევანა
- როტორული მსხვრევანა
- ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილება
- გაფრქვევა მიღებული პროდუქციის ღია საწყობებიდან

7. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი
მახასიათებელი სიდიდეები

საწარმოს ტერიტორიაზე მოქმედებს ქვიშა-ხრეშის გადამამუშავებელი ერთი ხაზი.
საწარმოს საქმიანობის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ინერტული მასალის
მტვერი (არაორგანული მტვერი) ამ ნივთიერების კოდი და ზღვრულად დასაშვები
კონცენტრაცია მოცემულია ცხრილში N 2

ცხრილი 2. ნივთიერებების მახასიათებელი სიდიდეები

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		კონცენტრაცია მგ/მ³	მაქსიმალური საშუალო დღე- ერთჯერადი დამური	
2908	მტვერი (არაორგანული)	0,5	0,15	3

საწარმოში იდენტიფიცირებულია მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის
შემდეგი წყაროები:

1. ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) განთავსება ღია საწყობზე (გ-1 წყარო)
2. გაფრქვევა ნედლეულის (ქვიშა-ხრეში) საწყობიდან (გ-2 წყარო)
3. ნედლეულის მიმღებ ბუნკერში ჩაყრა (გ-3 წყარო)
4. ყბებიანი სამსხვრევი (გ-4 წყარო)
5. როტორული მსხვრევანა (გ-5, გ-6 წყარო)
6. ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილება (გ-7-გ-12 წყარო)
7. მზა პორდუქციის (ლორლის) ჩამოყრა (გ-13, გ-14 წყარო)
8. გაფრქვევა მზა პორდუქციის (ლორლის) ღია საწყობიდან (გ-15 და გ-16 წყარო)
9. გაფრქვევა მზა პორდუქციის (ქვიშა) ღია საწყობიდან (გ-17 წყარო)

8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების გაფრქვევების რაოდენობის ანგარიში

საწარმოს მიერ ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში
მოხდა „დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების
ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების
სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი
რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო და აპარატურის
სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონალური წყაროებიდან
ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი
რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის(საქართველოს
მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილობა N435) მიხედვით“.

➤ ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) ღრა საწყობზე (გ-1 წყარო) განთავსებისას ატმოსფერულ ჰაერში გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = k_1 \times k_2 \times k_3 \times k_4 \times k_5 \times k_7 \times k_9 \times G \times B \times 10^6 / 3600 \text{ გ/წმ}$$

სადაც

K_1 - მასალაში მტვრის ფრაქციის წილია

K_2 - მტვრის მთლიანი მასიდან აეროზოლში გადასული მტვრის წილია;

K_3 - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_4 -გარეშე ზემოქმედებისგან საწყობის დაცვითუნარიანობის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_5 -მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_7 - გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

K_9 - შემასწორებელი კოეფიციენტი, ავტოთვითმცლელებიდან 10 ტონამდე წონის მასალის ზალპური ჩამოცლისას აიღება 0,2, 10 ტ-ზე მეტის შემთხვევაში აიღება 01, სხვა შემთხვევაში იგი აიღება 1 -ს ტოლი.

B -გადატვირთვის სიმაღლეზე დამოკიდებულების კოეფიციენტია;

G - წარმადობა 80 ტ/სთ-ში

აღნიშნული კოეფიციენტებისა და სიდიდეების მნიშვნელობები აიღება მეთოდიკაში მოცემული დანართებიდან.

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 = 0,05$; $K_2 = 0,03$; $K_3 = 1,2$; $K_4 = 1,0$; $K_5 = 0,01$; $K_7 = 0,4$; $K_9 = 0,1$; $B = 0,5$; $G = 48 \text{ ტ/სთ}$

აღნიშნული მნიშვნელობების ჩასმით გაფრქვეული მტვრის წლიური და წამური ინტესივობა იქნება:

$$M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 0,1 \times 0,5 \times 48 \times 10^6 / 3600 = 0,0048 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,0048 \times 1920 \times 3600 / 10^6 = 0,033 \text{ ტ/წელ}$$

➤ გაფრქვევის ანგარიში ნედლეულის (ქვიშა-ხრეშის) საწყობიდან (გ-2 წყარო)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტვ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც

$K_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_5 = 0,1$ -მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$K_6 = 1,45$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$K_7 = 0,4$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან გ/მ^2 წმ

$f = 400 \text{ მ}^2$ -ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტვ}} = 1,2 \times 0,1 \times 1,45 \times 0,4 \times 0,002 \times 400 = 0,055 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტვ}} = 0,055 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 1,73 \text{ ტ/წელ}$$

- ნედლეულის მიმღებ ბუნკერში ჩაყრისას (გ-3 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება გ-1 წყაროს ანალოგიურად:
საანგარიშო კოეფიციენტების მნიშნელობები შემდეგია:
 $K_1 = 0,05$; $K_2 = 0,03$; $K_3 = 1,2$; $K_4 = 1,0$; $K_5 = 0,01$; $K_7 = 0,4$; $K_9 = 0,1$; $B = 0,4$; $G = 48 \text{ ტ/სთ}$

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :
 $M = 0,05 \times 0,03 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 1 \times 0,4 \times 48 \times 10^6 / 3600 = 0,038 \text{ გ/წმ}$
 $G = 0,038 \times 1920 \times 3600 / 10^6 = 0,262 \text{ ტ/წელ}$

- ყბებიანი სამსხვრევიდან (გ-4 წყარო) გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით: $G_{ტ} = G_{სამს.} \times g \times N \times t \times k / 10^3$

სადაც $G_{სამს.}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა, რომელიც ტოლია 48 ტ/სთ. (მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ მასალის მშრალი მსხვრევისას შეადგენს 0,14 კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (240 დღე/წელ $\times 8$ სთ = 1920 სთ)

$$G = 48 \times 0,14 \times 0,4 / 10^3 = 0,0026 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0026 \times 10^6 / 1920 \times 3600 = 0,00037 \text{ გ/წმ}$$

- გაფრქვევის ანგარიში როტორული სამსხვრევიდან (გ-5 წყარო)

გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:
 $G_{ტ} = G_{სამს.} \times g \times N \times t \times k / 10^3$

სადაც $G_{სამს.}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 48 ტ/სთ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ სველი მასალის მეორადი მსხვრევისას შეადგენს 0,009 კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (240 დღე/წელ $\times 8$ სთ = 1920 სთ) მივიღებთ:

$$G = 48 \times 0,009 \times 0,4 / 10^3 = 0,00017 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,00017 \times 10^6 / 1920 \times 3600 = 0,000025 \text{ გ/წმ}$$

- გაფრქვევის ანგარიში როტორული სამსხვრევიდან (გ-6 წყარო)

გაფრქვევის გაანგარიშება ხორციელდება ფორმულით:
 $G_{ტ} = G_{სამს.} \times g \times N \times t \times k / 10^3$

სადაც $G_{სამს.}$ არის გადასამუშავებელი მასალის რაოდენობა რომელიც ტოლია 48 ტ/სთ. მტვრის გამოყოფის ხვედრითი მაჩვენებელი 1ტ სველი მასალის მესამეული მსხვრევისას შეადგენს 0,06 კგ/ტ. წელიწადში საწარმოს სამუშაო საათების რაოდენობის მიხედვით (240 დღე/წელ $\times 8$ სთ = 1920 სთ) მივიღებთ:

$$G = 48 \times 0,06 \times 0,4 / 10^3 = 0,0011 \text{ ტ/წელ}$$

$$M = 0,0011 \times 10^6 / 1920 \times 3600 = 0,000159 \text{ გ/წმ}$$

- მტვრის გაფრქვევის ანგარიში ინერტული მასალის ლენტური სტრანსპორტიორით გადადგილებისას (გ-7, გ-8, გ-9, გ-10, გ-11 და გ-12 წყარო)

ინერტული მასასლის ლენტური ტრანსპორტიორით გადადგილებისას მტვრის გაფრქვევა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტ}} = W \times K \times B \times L \times 10^3 \text{ г/წმ}$$

სადაც,

W - ჰაერის შებერვით გამოწვეული მტვრის ხვედრითი გაფრქვევა და ტოლია $3 \times 10^{-5} \text{ კგ/მ}^2 \text{ წმ}$

K - ნედლეულის დაჭუცმაცების კოეფიციენტი და ტოლია 0,1მ -ის

B - ლენტის სიგანეა და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 0,75 მ-ის

L - ლენტის ჯამური ისგრძე და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 48 მ

სათანადო მნიშვნელობების ჩასმით

$$M_{\text{მტ}} = 3 \times 10^{-5} \times 0,1 \times 0,75 \times 48 \times 10^3 = 0,108 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{მტ}} = 0,108 \times 1920 \times 3600 / 10^6 = 0,74 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის ანგარიში ანალოგიური იქნება, გ-8, გ-9, გ-10, გ-11 და გ-12 წყაროებისთვის

- მზა პროდუქციის (ქვიშა-ღორლის) ჩამოყრა ღია საწყობზე (გ-13, გ-14 წყარო) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება გ-1 წყაროს ანალოგიურად:

საანგარიშო კოეფიციენტების მნიშვნელობები შემდეგია:

$K_1 = 0,04; K_2 = 0,02; K_3 = 1,2; K_4 = 1,0; K_5 = 0,01; K_7 = 0,4; K_9 = 1; B = 0,4; G = 48 \text{ ტ/სთ}$

$$M = 0,04 \times 0,02 \times 1,2 \times 1,0 \times 0,01 \times 0,4 \times 1 \times 1,0 \times 48 \times 10^6 / 3600 = 0,051 \text{ გ/წმ}$$

$$G = 0,051 \times 1920 \times 3600 / 10^6 = 0,35 \text{ ტ/წელ}$$

გაფრქვევის ანგარიში ანალოგიური იქნება გ-14 წყაროსათვის

- გაფრქვევა მზა პორდუქციის (ღორლის) ღია საწყობიდან (გ-15 და გ-16 წყარო)

წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{ გ/წმ}$$

სადაც

$k_3 = 1,2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$k_5 = 0,1$ -მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$k_6 = 1,45$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია და მერყეობს 1,3-დან 1,6-მდე

$k_7 = 0,5$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q = 0,002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდან $\text{გ/მ}^2 \text{ წმ}$

$f = 200\delta^2$ -ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტ}} = 1.2 \times 0.1 \times 1.45 \times 0.5 \times 0.002 \times 200 = 0.034 \text{გ/წმ}$$

$$G_{\text{ატ}} = 0.034 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0.107 \text{ტ/წელ}$$

ანალოგიური იქნება გ-14 წყაროსთვის წარმოქმნილი მტვრის რაოდენობა

➤ გაფრქვევა მზა პორდუქციის (ქვიშა) ღია საწყობიდან (გ-17 წყარო)

მიღებული პროდუქციის საწყობებიდან (ქვიშა) გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იანგარიშება ფორმულით:

$$M_{\text{მტ}} = k_3 \times k_5 \times k_6 \times k_7 \times q \times f \text{გ/წმ} \quad \text{სადაც,}$$

$k_3 = 1.2$ - მტვრის წარმოქმნაზე ქარის სიჩქარის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$k_5 = 0.1$ - მტვრის წარმოქმნაზე მასალის სინოტივის გავლენის მახასიათებელი კოეფიციენტია;

$k_6 = 1.2$ - დასასაწყობებელი მასალის ზედაპირის პროფილის მაჩვენებელი კოეფიციენტია და მერყეობს 1.3-დან 16-მდე

$k_7 = 0.6$ გადასამუშავებელი მასალის ზომების მახასიათებელი კოეფიციენტია;

$q = 0.002$ - მტვრის წატაცების ინტენსივობაა 1კვ.მ ფაქტიური ზედაპირის ფართობიდანგ/მ² წმ

$f = 50 \text{ მ}^2$ - ამტვერების ზედაპირის ფართობი

ამ მონაცემების მიხედვით: გამოყოფილი მტვრის რაოდენობა იქნება :

$$M_{\text{მტ}} = 1.2 \times 0.1 \times 1.2 \times 0.4 \times 0.002 \times 50 \times 0.4 = 0.0023 \text{ გ/წმ}$$

$$G_{\text{ატ}} = 0.0023 \times 8760 \times 3600 / 10^6 = 0.0726 \text{ტ/წელ}$$

9. საწარმოს ექსპლუატაციისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილულია შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობაზე შესაძლო ზემოქმედება; ხმაურის გავრცელება; ნიადაგის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების მოსალოდნელი დაბინძურება; ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება; ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედება და სხვა.

საქმიანობის განხორციელებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სახეებია: ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების (მტვრის) გამოყოფა დაბინძურების სტაციონალური წყაროდან, ხმაური და ვიბრაცია, საწარმოო და საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ზემოქმედება ლანდშაფტები.

გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედება შეიძლება გამოიხატოს: ატმოსფერული ჰაერის ხარისხობრივი მდგომარეობის გაუარესებით, ხმაურის გავრცელებით, ნიადაგის ზედაპირული და მიწისიქვეშა წყლების შესაძლო დაბიძნურებით, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებით, ნარჩენების მართვის პროცესში მოსალოდნელი ზემოქმედებით და სხვა. რისკების შეფასების დროს გათვალისწინებული იქნა საპროექტო საწარმო ტერიტორიის განთავსება, უახლოესი საცხოვრებელი სახლის და სხვა სამრეწველო და ინფრასტრუქტურული ობიექტების მდებარეობა.

საწარმოს ფუნქციონირებით არ არის მოსალოდნელი ლანშაფტზე და ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება.

საწარმოს ინფრასტრუქტურა განთავსებული იქნება ვაკე ადგილზე. ტერიტორია მთლიანად დაფარულია ინერტული მასალით და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. საპროექტო ტერიტორია მოხრეშილია და მცენარეული საფარი პრაქტიკულად არ ფიქსირდება.

